13 (25) დეკემბერი 1868. № 50. მესამე წელიწადი.

გაზეთის ფასი

გაგზავნით ტფილისში და გარე ადგილებში: — გაუგზავნელათ:
ერთის წლისა — 7 მან. — — — 6 მან,
ნახევარის წლისა — 4 — — — — 3 — 50 კ.
სამის თვისა — 2 — 50 კ. — — — 2 —
ცალკე ერთის ნუმრისა გაუგზავნელათ — 3 შაური.
„დროება“ გამოდის კვირაში ერთხელ, პარასკევობით.

დროება

ხელის-მოწერა მიიღება:
ტფილისში „დროების“ რედაქციის კანტორაში, მელიქიშვილის და კამპ. სტამბაში, ხანის ქუჩაზედ, ბებუთოვის სახლში.
ტფილისის გარეშე მცხოვრებთათვის ადრესი: Въ Тифлисъ. Въ контору редакціи грузинской газеты „ВРЕМЯ“.
რედაქციის კანტორაში მიიღება ყოველ-გვარი განცხადება სხვა და სხვა ენებზედ. ფასი განცხადების დაბეჭდვისათვის ჩვეულებრივის ასოებით გაზეთის სტრიქონზედ 8 კაპ.

საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი.

შინაარსი:

ბანკის თაობაზე ზუგდიდიდგან.—შინაური ამბები.—ტელეგრამმები.—პოლიტიკა:—Австрія.—შეერთებული შტატები. სასამართლო და პოლიცია.

ზუგდიდიდამ. 29 გიორგობისთვეს გუშინ წინ, ოცდა შვიდს, იყო შეყრილობა ზუგდიდის მაზრის თავად-აზნაურობისა და ერთ-ხმივ გადაწყვიტეს ბანკის შედგენა. ბანკისთვის სდებენ მანეთზედ ორ შაურს ამ ფულიდამ, რომელიც უნდა მიეცეთ ყმებში. თავად-აზნაური იყო შეყრილი ორასზედ მეტი. ყოელის ულაპარაკოთ მოაწერა ყველამ ხელი ბანკის შედგენაზედ. საკვირველი ეს იყო; წინაალმდეგ ბორისა და ტფილისის უეზდის თავად-აზნაურობისა, აქ ბანკის შედგენისთვის თავგამოდებულნი უფრო ბევრი ყმის პატრონები იყვნენ. უნდა ვსთქვათ, რომ აქაურს ხალხს, ყველა საზოგადო საქმეზედ ადვილათ შეადგებინებს კაცი თავსა, თუ მთთავე ეყოლებათ. დიდს ხანს უყურებდი სიამოვნებით იმ სურათს, როდესაც შეყრილი თავად-აზნაურობა არ აცლიდნენ ერთმანერთს ბანკის შედგენაზედ ხელის მოწერას და იწვევდნენ მალე შეეტანად თავის სახელი და გვარი ხელის მოსაწერლებში. აქ თითქმის ენტუზიაზმი იყო ამ საქმისა, და მეორე დღეს კი გამოჩენილან ვილაებიცა, რომელთაც დაუწყიათ ხალხში ლაპარაკი, რომ ბანკი არ ღირს, რომ ფული შევიტანოთ. მაგრამ, ახლა ამ გვარი ჩაგონება სრულებით უზიანობაა, და არც აქაური მარშალია, რამდენთაც მე ვიცნობ, ისეთი კაცი, რომ ამ გვარს ლაპარაკს გაუგონოს და საქმე, გათავების დროს, გაუშვას. ვინც შეყრილობაში იყვნენ, ყველამ მოაწერა ხელი და გამოაცხადა სურვილი. ვინც არ იყო, იმათ რაც უნდა იქადაგონ, ხმა არა აქვთ. 122-ს მეცხრე ტომის მუხლის ძალით საზოგადო სასარგებლო საქმე თუ შეყრილმა თავად-აზნაურობის ორმა წილმა გადაწყვიტა, ეს გადაწყვეტილობა სუყველასთვის სავალდებულოა; და აქ ერთხმივ გადაწყვიტეს ბანკის შედგენა. ამისგამო, მე ბანკის საქმეს ზუგდიდის მაზრისგან გათავებულითა ვრაცხ. ამავე ფოჩტით იგზავნება მთავრობასთან ეს თავად-აზნაურობის გადაწყვეტილობა განსახილველათ და კანონიერის გზის მისაცემათ.

არ ვიცი სენაკის მაზრისა და ლეჩხუმისა როგორღა მოიქცნენ თავად-აზნაურნი: იზრუნეს რამე ბანკის შესახებ, თუ არა. თუ მოთავეები გამოჩნდნენ, არა მგონია, იქაც უარი ეთქვათ ბანკზედ. საქმე მოთავეებია. თუ მოთავე არა ყოფილიყო, დიახაც და არა ჰსურდათ მომატებულ ნაწილს ბორისა და ტფილისის თავად-აზნაურობას ბანკისთვის ფულის გამოღება, მაგრამ, რაკი მთაოსნები გამოჩნდნენ, იმათაც კი გამოიღეს. თუ ლეჩხუმმა და სენაკის მაზრამაც გამოიღეს ფული, მაშინ იმერეთზედ ნაკლები ფული აღარ შესდგება სამეგრელოშიაც.

ზუგდიდის მაზრასა აქვს აზრის, რომ თავისი ფული შეუერთოს იმერეთის ბანკსა, მხოლოდ იმ პირობით, რომ ამ ბანკის პროგრამა, ცოტაც არის, შეიცვალოს და შემუშავდეს საუმჯობესოდ და ერთი ნაწილი ბანკისა ზუგდიდში—სამეგრელოში იყვეს. აქვთ აგრეთვე აზრათა, რომ, თუ მოხდება ცვლილება იმერეთის ბანკისა, იქონიოს სახეში ტფილისის საზოგადო ბანკის დასაწყისი და იქნება იმის შემდგენსვე სთხოვონ, რომ მიიღოს შრომა ამ ბანკის წარმართვისთვის.

ა. ფ.

P. S. ეს სტრიქონები გათავებული მქონდა; რომ საქმე როგორღაც გრძელდება. ხელმეორეთ იბარებენ თავად-აზნაურობას ბანკის შესახებ. ჩემის აზრით საქმე ამ შეყრილობაზედ უნდა გათავებულიყო, მაგრამ კიდევ რაღაცა მიზეზები გამოუგდიათ. რა ძნელია, სადაც არ არის გამოცდილება და ნამეტნავათ თაოსნობა!... მაგრამ ბანკისა კიდევ იმედი მაქვს: იმედია ამოდენა საზოგადოება, როგორც სამეგრელოს თავად-აზნაურობისა, დაინახავს საჭიროთ თავისთვის ბანკის ქონებას. ბანკი, მეგრელობა, ბანკი, თორემ ბოლოს გვიანღა იქნება სინანულში შესვლა! თქვენს მდგომარეებაში პირველი ღონე—რიგიანი ბანკია.

შინაური ცნობანი

მოკლე გარდაწყვეტილებათ ბილისის სამოსამართლო პალატისა, შემდგარი 2 დეკემბერს 1868 წელსა.

ტფილისის სამაზრო სასამართლოდგან წარდგა აპელაციით საქმე თბილისის სამოსამართლო პალატაში, რომელშიაც აბრალებდნენ თავადს სიმონ ანდრონიკოვს ანნა აბაშიძის ძალით მოტაცებასა იმ აზრით რომ დაიწეროს ჯვარი ქალის უნებურათ და აგრეთვე ქალის ძალდატანებასა. ეს საქმე პალატამ ასე გადასწყვიტა: თავადი სიმონ ანდრონიკოვი, 19-ს წლისა, დამნაშავე კნ. ანნა აბაშიძის მოტაცებაში, რომელიც არის 16-ს წლისას, რომ ამითი წაუხდინოს ქალს სახელი და გარდა ამისა ქალის ძალდატანებისათვის სისხლის სამართლის წარმოების 766 მუხლის ძალით უნდა ჩამოერთოს ყოველი ხარისხი და ქონება, გაიგზავნოს მადნის სათხრელად ოთხის წლით, და შემდეგ ვადის შესრულებისა დასახლდეს თავის სიცოცხლეში Симбирში. იმისი მამა, დავით ანდრონიკოვი, 59 წლისა, რომელსაც ხელი შეეწყო თავისი შვილისათვის ქალის მოტაცებაში, რომ ამითი გაუტეხოს ქალს სახელი,—დასამშვიდებელს სახლში ჩასმის მაგიერათ, უნდა ჩაჯდეს ციხეში რვა თვე. იმისი და, მარიამ ანდრონიკოვისა, 25 წლისა, რომელსაც აგრეთვე ხელი შეეწყო თავისი ძმისათვის, რომ ქალი ძალით მოიტაცოს, დასამშვიდებელი სახლში ჩასმის მაგიერ, უნდა ჩაჯდეს ორის თვით ციხეში. თავადი გრიგოლ მაყაშვილი, 38 წლისა, რომელსაც შეეფარებინა ანდრონიკოვი მოტაცებულის ქალითა, რომ ამითი წაუხდინოს ქალს სახელი იმავე სისხლის სამართლის კანონების 766 მუხლის ძალით, უნდა ჩაჯდეს ციხეში ექვსის თვით. ქნენინა ანასტასია მაყაევისა, 60 წლისა, რომელსაც აბრალებდნენ შეფარებას სიმონ ანდრონიკოვისას და გარდა ამისა ნების მიცემას ქალის ძალდაუტანებლათ გამართლებული არის. ამავე დაბრალებიდგან გამართლებულია ეკატერინე მაყაევისა, 23 წლისა. სასამართლოს ხარჯი გადაიხადოს სიმონ ანდრონიკოვმა და თუ იმან სულ ვერ გადაიხადა, მაშინ დანარჩენი უნდა დაედვათ. დავით ანდრონიკოვსა, მარიამ ანდრონიკოვისასა და გრიგოლ მაყაევსა თანასწორ ნაწილებად.

კავკასიის სასოფლო სახლოსნობის კრების სეკრეტარმა, უ. სიტოვსკიმ, შეიტანა ერთს უკანასკნელს კრების სხდომაში პროექტი აქეთა კავკაზში სასოფლო სახლოსნობის კომმისიონერობისა და სასოფლო სახლოსნობის შკოლის გამართვაზედ. ამ პროექტის ყოველის მხრით გასაშინჯველათ არის ახლა შემდგარი საკუთარი კომისია, რომელმაც უნდა შემოიტანოს თავისი აზრი კრების ყრილობაში.

ამ დროს ეს ორიეე დაწესებაები დიდი საჭიროები არიან ჩვენის მხრისათვის.

რასწამს დაფუძნდა სასოფლო სახლოსნობის კრება აქეთა კავკაზში, მაშინვე აღმოჩნდა მაშინების გამოწერის საჭიროება; მაგრამ მხოლოდ 1862 ძლივს გამოიწერეს რომელიმე იმათაგანი. ისიც სულ ძვირი და მძიმე სახმარებელნი აღმოჩნდნენ. რასაკვირველია საქართველოში ჯერ უნდა იაფი და ადვილი სახმარებელი მაშინები მოეტანათ, რადგანაც ჯერ არც ხმარებას იყვნენ შეჩვეულნი და არც თუ გამმართავი იყო, რომ მოშლილიყო.

მერე გამოიწერეს შუმანის გუთანი, სიმინდის საცეხვი დეპორტისა, სათიბი მაშინები, მაგრამ ეს მაშინებიც მაგდენათ ვერ გავრცელდნენ, რადგანაც ისავე მიზეზი უშლიდათ; მხოლოდ სიმინდის საცეხვი გამოდგა, და ისე შევიდა ხმარებაში, რომ ძველი საშუალებით, ე. ი. გოდორში ჩაყრითა და ჯოხის ცემით, იშვიათათლა ვინმე სცეხვამს—სიმინდს.

საჭიროება მაშინების ხმარებისა უფრო ძალიან გამოჩნდა მაშინ, როდესაც ყმები განთავისუფლეს, და მებატონეთ წაერთოთ მუქთი ხელები; სიძვირე მუშისა და სოფლის სახლოსნობის სარგებლიანობა თხოულობდა მაშინების ხმარებასა მუშაობაში. ამიტომ სახემწიფო—მამულების დეპარტამენტმა მისცა შეწევნა ფულით ერთს ანგლიის მეხანიკური ზარდის აგენტს; ოტტო ვალსა, რომ იმან გახსნას ტფილისში სასოფლო სახლოსნობის იარალის დეპო. დეპო ვალისა იყო აქ ოთხი წელიწადი, რომლის განმავალებაში გაყიდა რვა ასი თუმნის მაშინები. ვალი უფრო მეტს გაჰყიდდა, რომ სვინდისიანათ მოქცეულიყო, მაგრამ ის თავის დეპოს ავსებდა დაწუნებული გუთნებითა. შემდეგ ვალმა არც თავისი ვალი აასრულა და წავიდა კიდეც ლონდონში; იმაზედ დარჩა მმართებლობის ვალი ათას ორასი თუმანი.

ახლა საქართველოში აღარაეინ არის იმისთანა, რომ ან გამოიწეროს მაშინები და ანუ ურჩიოს მოსახლეთ, რომელი მაშინა კარგი არის; მაგრამ მაშინის საჭიროება კი სასოფლო სახლოსნობის მუშაობაში ყველა გრძნობს. ამიტომ პროექტი უ. სიტოვსკისა კარგს დროს არის წარმოდგენილი. მართლად ახლა არის საჭირო საქართველოში სასოფლო სახლოსნობის კამისიონერობის გამართვისა. ეს კამისიონერობა უფ. სიტოვსკის აზრით, უნდა იყოს იმ გვარი, რომ შეეძლოს გაავრცელოს მხარეში ყოველი უკეთესი მაშინები, სახლოსნობის იარაღები, თესლეული სასარგებლო მცენარეთა, სასოფლო სახლოსნობის წიგნები, ჯინშინი შინაური პირუტყვები; გარდა ამისა უნდა გამოიწეროს სხვა მხრიდგან მცოდნე მებაღეები, თამბაქოს მომყვანნი, ღვინის დაშყენებლები და სხ; ამასთან იმისათვისაც უნდა ზრუნავდეს ეს კამისიონერობა, რომ რუსეთში და სამძღვარს გარეთა ჰქონდეს გასავალი აქაური მოსავლის საგნებსა. ამ გვარად ეს კამისიონერობა იქნება შუამავალი მეფუბრიკეებისა და მოსახლეებს შუა, მომზადებელთა და მომხმარებელთა შუა, და გარდა ამისა მცოდნე დამრიგებელი ჩვენის მხრის მოსახლეებისა, რომელთაც არ იციან მეროპაში რა ცვლილება მისცა სასოფლო სახლოსნობასა და სარჩოს მოპოების საშუალებასა მაშინებმა. ჩვენში თუ ამგვარი კრება არ არის, მაშინ უთუოდ ძველებურს გუთანსა და საცეხველს ხელიდგან არავინ გაუშვებს.

სასოფლო სახლოსნობის შკოლის გამართვა საქართველოში აგრეთვე დიდი საჭიროა ახლა. რადგანაც მხარეში ძნელი საშოვნელნი არიან კარგათ მცოდნენი მებაღეებისა, ღვინის დაყენებისა, თამბაქოს მოყვანისა და სხ., ამიტომ სხვა მხრიდგან მოჰყავთ ესენი; მაგრამ ბევრმა არც იცის მხარის ხასიათი და ვერცა რჩება აქ დიდს ხანსა. ხანდისხან ჰალალ ბედზე იწერენ სხვა მხრიდგან ამათა და ბოლოსა ჩნდება, რომ არა ფერი არ იციან.

მაგრამ როგორი შკოლა უნდა გაიმართოს სასოფლო სახლოსნობისა საქართველოში, და რა უნდა ასწავლონ იქა?

პროექტის ავტორის აზრით აქ უნდა გაიმართოს იმ გვარი შკოლა, რომელშიაც შეიძლებოდეს მოემზადნენ კარგი მოურავები წვრილი და შუათანა სახლოსნობისათვისა; იმ გვარი შკოლა, რომელშიაც ასწავლიდნენ სასოფლო სახლოსნობას საერთოდ და განსაკუთრებით იმ ნაწილებსა, რომელნიც უფრო გამოსადეგნი არიან ჩვენს მხარეში.

უფ. სიტოვსკი არაფერს ამბობს დიდროანი სახლოსნობის მოურავებზედა და პრიკაშჩიკებზედა. პირველნი უნდა იყვნენ საფუძვლიანად ნასწავლნი ხალხნი და ამასთან გამოცდილნი. ამ გვარ ხალხს აქაურნი მემამულენი არა თხოულობენ, რადგანაც აქ ცოტა არის კარგა მოწყობილი და დიდროანი სახლოსნობანი; და თუნდა ითხოვონ კიდეცა შეიძლება ამათი გამოწერა რუსეთის შუა გუბერნიიდგანა. კარგი პრიკაშჩიკები კი მალე გვეყოლებიან კრების სახლოსნობის სასწავლებელიდგანა, მეტადრე მაშინ, თუ ამ სასწავლებელს მიეცემა უფრო მეტის სწავლის საშუალება.

პირველი მომზადება შესასვლელათ მაგდენი არ უნდაო, ამბობს პროექტი; საკმაოა, რომ ყმაწვილმა იცოდეს კითხვა და წერა რუსულისა და ოთხი დასაწყისი მოქმედება არითმეტიკისა. უფ. სიტოვსკი უფრო დიდს მნიშვნელობას აძლევს ყმარწვილის წლოვანობასა და იმათ ტანის სიმაგრესა; ყმარწვილი 15-ს წელიწადზედ ქვეით არ უნდა მიიღონ შკოლაშიო. გარდა ამისა უნდა იყვნენ ღონიერნი და არაფერი სტკიოდეთ, რომ სახლოსნობის მუშაობა კარგად ასრულონ.

ვადა სწავლისა, როგორც ნეორეტიკული, აგრეთვე პრაკტიკული შკოლაში არის დანიშნული სამი წელიწადი.

რაცკი შეეხება ადგილს, სად უნდა გაიმართოს შკოლა: ტფილისში თუ სოფელში,— ამაზედ ავტორის აზრი ორად იყოფა. პირველი აზრი, რომ შკოლის გამართვა სოფელში სჯობს, რადგანაც იქ იქნება შეგირდი შემოფარგლული მხოლოდ თავის სწავლის საგნებითა და სწავლასაც საქმით გამოსცდის; მაგრამ მაშინ მოსწავლენი საკუთარნი უნდა იყოლიოს შკოლამა და ამაზედ დიდი ხარჯი უნდება. მეორე — ტფილისში მასწავლებელნი საკუთარნი არ უნდათ, ამიტომ რომ მაშინ სხვა ადგილებში მასწავლებელთ მოიწვევდნენ და იმათ დაუნიშნავდნენ თითო უროკებზე, როგორც მელსამე ფასსა; ამასთან აქ კიდევ შეით ისარგებლებდნენ მოსწავლენი, რომ არონ გამართულნი ბიბლიოთეკა, მუზეი და სხვ. სასარგებლო სწავლისათვის საგნები. მაგრამ ჩვენის აზრით მაინც სოფელში სჯობია, ამიტომ რომ იქ გამოცდილს სწავლას მოიპოვებენ, რომელიც განსაკუთრებით არის საჭირო ჩვენის მხრისათვისა.

ტელეგრამმები.

(პეტერბურგში მიღებული)

ვენა, ნოემბრის 9-სა. დღეს შუადღისას აქ გამოაცხადეს სახალხოდ ავსტრიასა და ვენგრიის შუა რაც დიპლომატური მიწერ-მოწერა ყოფილა ერთმანერთში, ანუ, როგორც ეძახიან, წითელი წიგნი. ამ წიგნში არის დეპეშები იანვრის ცხრიდგან 15-ს ღვინობის თვემდინ 1868-სა. წითელის წიგნიდგანა სჩანს, რომ ავსტრიისა და ვენგრიის მონარხიას გარედგან არავინ აწუხებს და მშვიდად არის. მმართებლობა ცდილობს, სიმშვიდე იყოს და არ დაირღვეს ძალა პრაგის პირობაებისა. ოსმალოს იმპერიაზე მმართებლობა ფიქრობს, რომ იმისი ხალხი იყოს სიმშვიდეში და რომ არც ოსმალეთის სიმთელე დაირღვეს. მაგრამ რუმინიისაგან კი შიში არის, რომ ის არ დარჩება ახლანდელს მდგომარეობაში ოსმალეთთან. ეს შიში ამით უფრო მტკიცდება, რომ რუმინია ძალიან იარაღდება ახლა, მაგრამ მტერი კი არსაიდგან აწუხებს.

კოსტანტინოპოლი, 19 ნოემბერს (1 დეკემბერს). პორტას ჰსურს, მისცეს წინადადება სახელმწიფოებს, რომ დაიწყონ მოლაპარაკება კაპიტულიაციის გადაგდებაზე ან იმის შეცვლაზე. დიდმა ეკლესიამ უარ ჰყო ოსმალეთის პროექტები, თუ რა წესით უნდა გადასწყვიტონ ბერძენ-ბოლგართა საეკლესიო საქმეები და განაცხადა, რომ ეს საქმე საქვეყნო პატრიარქთა და დამოუკიდებელ მართლმადიდებელ ეკლესიათა წარმომადგინელთ კრებამ უნდა ახსნასო. პორტა ვერ არის კარგათ იმის კარზე მყოფ საბერძნეთის ელჩთან, იმის გამო რომ კანდიაში ხელ-ახლავ გაგზავნეს ეოლონტერები.

23 ნოემბერს (5 დეკემბერს). ბობართ-ფაშა დღეს უნდა წავიდეს კანდიას, რომ მიიღოს იქაური ჯარის წინამძღომლობა.

პერა, 22 ნოემბერს (4 დეკემბერს). 19 ნოემბერს სამშაბათს: დღეს დუნაის სამთავროების უცხო საქმის მინისტრი ბოლესკო იყო სულთანთან და მისცა ხელში რუმინიის მთავრის კარლის წერილი, სადაც ერდგულებაა განცხადებული სულთანისადმი და თანაგრძნობის უარის ყოფა სულთანის წინააღმდეგ პლანებზე.

ოსმალეთის მთავრობამ განუცხადა მფარველ სახელმწიფოებსა, რომ თავგამეტებით უნდა მოევეპყრა საბერძნეთისაო, იმისათვის რომ აქამდის არ იშლის კანდიოტების შეწუენასაო და თავის ელჩს ათინაში მისცა კიდეც დაწვრილებითი რიგი, თუ როგორ უნდა მოიქცეს. უველასა სჯერა, რომ ოსმალეთსა, და საბერძნეთს შუა დიპლომატიური განწყობილება შესწყდება. პორტა ჰგზავნის თავის ჯარს დარდანელს.

23 ნოემბერს (5 დეკემბერს). ოსმალეთის მთავრობამ გაუგზავნა ულტიმატუმი (თავგამოსადები საპასუხო ბარათი), რომლითაც ითხოვს საბერძნეთისაგან პასუხს, თუ როგორ იქცეოდა იგი წინათ და ან როგორ აპირებს შემდეგშიაც მოქმედებასა. თუ იმან რიგიანი პასუხი არ მისცა სულთანის ელჩი გამოვა ათინიდგან და საბერძნეთის ელჩსაც მისცემენ კონსტანტინოპოლს ფაშ-ბორტსა მხარიდგან გასასვლელად. ოსმალეთისა და საბერძნეთის აშლა ერთმანეთთან აქ ყველას სჯერა. ბობართ ფაშას (ანგლიელი) ფერიკობა მისცეს და დღეს მიდის კონსტანტინოპოლიდგან, რომ მიიღოს ოსმალეთის სამხედრო ცეცხლის გემთა უფროსობა, არქიპელაგში. აქ მოვიდა ხურშიდ-ფაშა, რომ დაიჭიროს მხარე ეგვიპტის ვიცე-კაროლის კამისიაში, რომელიცა შეხდგა ხალიმ-ფაშის გაგდების შესახებ ეგვიპტიდგან.

ვენა, 23 ნოემბერს (5 დეკემბერს). აქაური საღამოს გაზეთები გვატყობინებენ გაზეთში „თურქი“ რომ იყო დაბეჭდილი აშლა პორტასა და საბერძნეთ შუა, იმის შესახებ, რომ მფარველ სახელმწიფოებმა ძალა დაატანეს საბერძნეთსაო კარგი პასუხის მიცემაზე. მაგრამ იმან გამოაცხადა, რომ არ შემიძლიან ეოლონტერებს დავუშალო კანდიას წასვლაო.

24, ნოემბერს (6 დეკემბერს). ოფიციალურს ვენის გაზეთში დაბეჭდილია საკუთარი ხელით დაწერილი იმპერატორის ფრანცი-იოსების რესკრიპტი, სადაც გამოუცხადებს გულდანდობას და სიყვარულს ბარონს ბეისტსა სახელმწიფოსადმი მოტანილს ღვაწლისათვის და ეძლევა გრაფის ღირსება.

რუმინიამ განუცხადა ბარონ ბეისტსა, რომ იქაური სამინისტროს შედგენილობა შეიცვალაო და ამაზე ბარონმა ბეისტმა გასცა პასუხი ავსტრიის მთავრობის მაგიერათ, რომ იგი ყოველთვის ცდილობს დუნაის სამთავროების წარმატებას და იმის თვითარსებობის გამაგრებასაო იმდენათ, რამდენათაც ტრაქტატებშია განსაზღვრულიო.

ვენის ოფიციალური ტელეგრაფის სააგენტო გვაცნობებს კოსტანტინოპოლიდგან 23 ნოემბერს (5 დეკემბერს): „ვამტკიცებ, რომ გულმაგარი დიპლომატიური განცხადება საბერძნეთის სახელმწიფოსადმი გვაძლევს იმედს, რომ უმანდურობა კეთილათ გათავდება, თუმცა ამ განცხადებაზე რუსეთი კმაყოფილი არ დარჩა.

ლონდონი 24 ნოემბერს. ანგლიის ახალ სამინისტროში ბლადსტონს გარდა, რომელიც არის თავი, იქმნებიან შემდეგნი პირნი: ბრიუსი შინა საქმის მინისტრად, ბერკოგ არგაილი ოსტინდიის საქმეთა მინისტრად; ბრაიტი ვაჭრობის მინისტრათ, ლორდი ბრენვილი კალონიების მინისტრათ, გრაფი რასსელი საიდუმლო ბეჭდის ლორდათ და სახალხო განათლების მინისტრათ, ლორდი ჰუმბერლეი საიდუმლო რჩევის თავსმჯდომარეთ, ბეშენი ლარიბთ გასამგებოს თავს მჯდომარედ. გრაფი ბრეი გენერალ-ფოჩტმეისტრათ, ვილიერსი ლანკასტერის საგერცოგოს კანცლერათ. ირლანდიის ლორდათ მოადგილეთ დანიშნულია გრაფი სპენსერი.

პოლიტიკა.

ავსტრია.

რუმინიაში იარაღის შეტანაზე დეპეშები. ერთს საზღვარ-გარეთის გაზეთში მოხსენებულია ზოგიერთი დეპეშები წითელი წიგნიდგან ვადმოწერილი რუმინიაში იარაღის შეტანაზე, ამ დეპეშებიდგან სჩანს, რომ ავსტრიის მთავრობა და იმის აგენტები, რომელნიცა იმყოფებოდნენ რუმინიაში, რაცხდნენ თავის მოვალეობათ ეკითხნათ რუმინიისთვის ამ იარაღის შემოტანის შესახებ. ავსტრიის მთავრობა ამტყუნებს რუმინიას, ვითომც იმას ჩუმათ შეაქვს თავის სახელმწიფოში იარაღიო, მაგრამ რუმინიის პრეფექტმა თვითონ გამოუცხადა ავსტრიის ელჩს იარაღის შემოტანა.

№ 104 უფ. ვოლფარტი ელჩი იასში ბარონს ბეისტსა. იასა 21 აგვისტოს 1868 წელსა. ორი კვირის წინათ გაგებული ჰქონდათ რადაცაში, რომ იქ უნდა მიეტანათ გადასატანი საქონელი, რომელიცა მართლად მხოლოდ თოფებს შეიცავდა. ხუთშაბათს 13 აგვისტოს მდინარის პრუტის კიდეზე მოიტანეს 90 პარკი, რომელიც იყო გამოხვეული ტილოში და თიეაში. ეს პარკები გადაიტანეს ბარქასებით მოლდავიის კიდეზე. კომისიონერმა მიიღო ეს პარკები, გაგზავნა რადაცაში და იქ მთავრობის მაღაზიაში შეინახეს. ეს პარკები 40 ათას ტალერათ იყო დაფასებული: 14 აგვისტოს პარასკევს ამდენივე პარკები უნდა მოეტანათ პრუტის კიდეზე.—დრაგომანის რაპორტში სხვათა შორის აი რა სწერია: „ბოტუშანში მნახა პრეფექტმა, რომელსაც ალბათ წინათვე გააგებინეს ჩემი მოსვლა და მაცნობა შემდეგი:“ რუმინიის პალატისაგან დამტკიცებულის პროექტის თანახმად რუმინიის ჯარის შესაიარაღებლათ, რუმინიის მთავრობამ მოახდინა განკარგულება ჯარის გამოსაწყობად. პალატას მოსთხოვა ფული და თეოდორე მეგენდეჟესნულს და კაპ. გაურიგდა, რომ იმათ მოამზადონ 50 ათასი თოფი. მეგენდეჟესნულმა და კამპან. შეურიგდენ პრუსსიაში 50 ათასი თოფის გაკეთებასა. რომ არა იფიქრონ რა, მე მოვალედ ვრაცხავ ჩემ თავს გამოგიცხადოთ, რომ იმ პარკებში მართლა თოფებია, რომელნიც უნდა წარიგზავნოს ბუხარესტში და უნდა დაურიგდეს ჯარს პირველს სექტემბერს.

ბარონი ედლერისაგან ბარონ ბეისტს. ბუხარესტი 2 აგვისტოსა. მე მოვითხოვე პასუხი უფ. ბრატიანოს რათ გადმოაქვს ასე ბევრი თოფი რაღი რუსეთზედ დუნაის სამთაეროებში. უფ. ბრატიანომ მიპასუხა, რომ ეს თოფიაიარაღი ნემსიანები არისო და პრინცმა პრუსიაში გააკეთებინა მოლდავიისა და ვალახიის ჯარის შესაიარაღებლათაო. ამასთან ვკითხე უფ. ბრატიანოს, რუსეთზე, მრუდეს გზით და მალვით რათ მოაქვსთ მეთქი? უფ. ბრატიანომ მიპასუხა, რომ რუმინიის მმართებლობა თავის დღეშიაც არა ჰმალავს თოფიარაღის სყიდვასაო და არც რუმინიაში მოტანასაო; და გარდა ამისა, ფრანციის მმართებლობას ჰქონდა შეტყობილი თოფების სყიდვა ოსმალეთის მმართებლობის აგენტისაგანაო, რომელიც პარიჟში არისო. თუ რუმინიის მმართებლობამ ირჩია თოფიარაღის გადმოტანა რუსეთზე,—ეს ამიტომ, რომ რუსეთის მხრივ არაფერ დაშლილობას არ მოელოდაო. საქმაო არისო, სთქვა უფ. ბრატიანომ, რომ პრუსიის კაროლმა მისწეროს რუსის მმართებლობას ამ საქმეზედა და ის შეიტყობს, რომ იმის მხრივ არაფერი დაშლილობა არა არის რა. ჩვენ შეგვეძლო გადმოგვეტანა თოფიარაღი ცრის გზით: ან ავსტრიის მიწებზე, ანუ ზღვით კონსტანტინოპოლში. პირველი გზა დავტოვეთ, რადგანაც გვეშინოდა ვენგრიის მმართებლობას არ დაეშალა. მე ვკითხე უფ. ბრატიანოს—რაზედ აფუძვნებდა ამ გვარ აზრებსა? უფ. ბრატიანომ მიპასუხა, რომ ვენგრია სათავადოების მტერი არისო. ბადმოტანა თოფიარაღისა კონსტანტინოპოლზე უფრო საძნელო იქნებოდაო. ამ რამდენიმე თვის წინად რუმინიის მმართებლობამ სთხოვა პორტას, რომ ნება მოეცა იმის მიწებზე გადმოეტანათ 15,000 ნემსიანი თოფები პიბოდის სისტემისა, რომელნიც იყვნენ ნასყიდნი ამერიკაში. ამაზედ მიწერ-მოწერა გათავდა არაფრითა. დავშთებით და სხვა.

ბარონი ედლერისაგან ბარონს ბეისტს. ბუხარესტი, 28 აგვისტოსა. ბოტუშანის პრეფექტმა მოგვითხრო, რომ მოლდავიაში მოიტანესო რუსეთზედ 50,000 თოფი. უფ. ბრატიანომ სთქვა, რომ სრულებით არაო, და ეს კი მართალია, რომ ელიან 25,000 პრუსსიის ნემსიან თოფებსაო. ბარდა ამისა ზღვით უნდა მოვიდეს 15,000 თოფი პიბოდის სისტემისა, ამერიკაში ნასყიდიო.

ბარონი ბეისტისაგან, ბარონს ედლერს ბუხარესტში. ვენა. 2 სექტემბერსა. ახსნა უფ. ბრატიანოსაგან თოფიარაღის ჩუმათ მოტანაზე თხოულობს ჩემგან შემდეგ შენიშვნებსა; თუმცა ჩვენ გვეგონა, რომ შეიარაღება სათავადოებისა იმათ ნამდვილს საჭიროებაზედ მომატებული იყო, მაგრამ მაინც არ გაგვიკვირდებოდა, რომ შეგვეტყო ახლად სყიდვა იარაღისა რუმინიის მმართებლობისავან. ჩვენ გაგვაკვირვა იმ შემთხვევამა. რომ რუმინიის მმართებლობას სწადდა გადმოეტანა დაფარვით ეს იარაღი და ამის შესაფერი საშუალებაც მიიღო. აქამდე ჩვენ ყოველთვის ვაძლევდით ნებას, რომ რუმინიაში გადაეტანათ საომარი იარაღები; ამიტომ რუმინიას არა ჰქონდა მიზეზი თოფიარაღის რუსეთზე გადმოტანისა, ე. ი. გრძელის გზით; ამასთან მაშ რათ ამბობდნენ თოფიარაღზე, რომ ეს რკინის გზების გასაკეთებელი იარაღები არისო. აქედგან- სჩანს, რომ რუმინიის მმართებლობას ედვა რამ გულში, რომ ჰმალავდა ნამდვილსა. ეს გარემოებანი გვარწმუნებენ, რომ ეს თოფიარაღი, როგორც ისინი ამბობენ, იმ საგნისათვის არ არის დანიშნული, და აქვს სრულებით სხვა მნიშვნელობა. ბარდა ამისა ახლა რომ ბოლგარები აღრეულობას ახდენენ რუმინიაში, ეს აღრეულობა თანდითან სულ იზდება. ბთხოვეთ უფ. ბარონო, რომ რუმინიის მმართებლობას ეს საქმე შეატყობინო ზემო აღწერილის აზრითა. დავშთები და სხვ.

ბარონი ორჩის პასუხი. ვენის გაზეთში 26 ნოემბერს ტელეგრაფით სწერენ პეშტიდგან: სხვათა შორის ბარონმა ორჩმა წარმოსთქვა: რაიცა შეეხება უცხო-ქვეყნის სამინისტროს ურთიერთობას დუნაის სამთავროებთან, ამაზე საკმაოა, ითქვას, რომ სამინისტრო ცდილობს მეგობრობას ყველა მეზობელ სახელმწიფოებთან; სამინისტრო წმინდის გულით ამბობს, რომ სრულებით მიუდგომელათ ვიქცეოდით ამ უკანასკნელს დროს, როცა დუნაის სამთავროებში მოძრაობა მოხდაო. ამ შემთხვევაში იმან განამართლა თავისი აზრი, რომ ყველა სახელმწიფოებთან მეგობრობის მეტი სხვა არა იფიქროს რა. ეს კი არა ბევრი იმასაც ამბობდა, რომ სამინისტრო ასე განსჯე ხელსაც კი უწყობს დუნაის სამთავროების შეიარაღებას, რადგან ნება მისცა თავის საზღვრებში იარიღის გატარებისაო. მაგრამ ამ გარემოებიდგან უნდა გამოვიყვანოთ ეს აზრი, რომ ავსტრო-ვენგრიის სახელმწიფოს სრულებით განზრახვა არა აქვს, არც დროებით დაჰიროს და არც შეიერთოს დუნაის სამთავროები, სამინისტროს სახელით მე უნდა გამოვაცხადო, რომ იმას აზრშიაც არა აქვს ამ სამთავროების დაპყრობა. ავსტრო-ვენგრიის მმართებლობა მხოლოდ ითხოვს იმ პირობების პატივისცემასა, რომელნიცა იცავენ იმათს ახლანდელს არსებობასა. რაიცა შეეხება შეიარაღებასა ამითი იმ გვარ მდგომარეობაში ჩავარდნენ დუნაის სამთავროები, რომ ევროპის მშვიდობიანობას მუქარა აძლევენ. ამას გარდა თვით მცხოვრებნიც ისე იქცევიან, რომ დიდი ხნის მშვიდობიანობა საძნელოა. ამისი უნდა გვეშინოდეს, რომ შეიარაღება ცუდს განწყობილებას ჩამოაგდებს ოსმალეთსა და დუნაის სამთავროებს შუა და დაუშლის იმათ შორის დადებული პირობების გამტკიცებასა. აქედ-

გან სჩანს, რომ ჩვენი სახელმწიფოს სამინისტრო და სხვა სახელმწიფოების მთავრობანი თვალს უნდა ადევნებდენ მოძრაობას ზემოხსენებულს ქვეყნებში.

რაიცა შეეხება შიშიანობას, რომელიცა წარმოსდგება ამისთანა მდგომარეობიდგან სახელმწიფოსათვის, მას შემდეგ რაც ჩვენ მოვახდინეთ, მთავრობამ არა ვითარი განსაკუთრებული ზომა არ მიიღო და ამ სახით ელის მომავალსა.

შეერთებული შტატები.

პრეზიდენტის ამორჩევის შემდეგ საქმის მდგომარეობა. ნუ-იორკიდგან იწერებიან 12 დეკემბერს: ნუ-იორკის სავაჭრო გაზეთს შეუძლიან, რომ მოუთხრას თავის მკითხველებს სანუგეშო ამბები, რომ ამ ჟამად რესპუბლიკა საუკეთესო კეთილმდგომარეობაში ჩავარდა, ყველანი ელოდნენ, რომ ბრანტის ამორჩევით მხარეს მიეცემოდა მშვიდობა და მართლაც ეგრე მოხდა. ბრანტის გამარჯვება ისეთ ნაირია, რომ იმის შემდეგ შფოთიანობის ნატამალიც აღარ უნდა დარჩეს. იმ შტატებში, საცა არ უშლიდნენ ხმის მიცემას და არ ემუქრებოდნენ, ყველგან უმრავლესი ამოირჩეველებისა ბრანტის მხარეზე იყო, ასე რომ არავის შეუძლიან სთქვას, თუ ის ხალხის მცირედი რიცხვის პრეზიდენტიაო. ბრანტის სასარგებლოთ ამოსარჩევ კოლლეგიაში (ყრილობაში) 217 ხმა იყო; სიმურისკენ 76 ხმა. ნამდვილათ და პატივსადებათ გაიმარჯვა დემოკრატიულმა პარტიამ მხოლოდ დელაეერში, მერილენდში და ქენტუკში, სადაც სულ 21 ხმა ჰქონდათ. რესპუბლიკელების გამარჯვებას ძალიან დაუშალა ნუ-იორკში 8,818 ხმამ, ხოლო ნუჯერში 2,633 ხმამ. ამისგამო ზნეობით გამარჯვებას კიდევ უფრო დიდი ფასი დაედება, ვიდრე ნამდვილი ხმის უმრავლესობით გამარჯვებასა. ქავშირის უდიდესის შტატის განდგომა რასაკვირველია, დასაკლისია, მით უფრო რომ იმისთვის დიდი სასირცხოა იმ მმართველობის რიგის მონად დარჩენა, სადაც უპატიოსნობას და მისყიდვას განიერი გზა ჰქონდა გახსნილი და კიდევ მით უფრო სამწუხაროა ნუ-იორკის განდგომა, რომ ის თუ არ დახმარებოდა წინააღმდეგი პარტია სულაც მოისპობოდა. სჯულის მდებელს ყრილობებში უმეტესი ნაწილი რესპუბლიკელები არიან და ამისაგამო ახალ სენატორებათ უეჭველათ ამოირჩევენ ამ პარტიის წევრებსა. ლუიზიანაში და ჯეორგიაში წინააღმდეგი პარტია ასეთის მუქარით მოქმედებდა, რომ კანონიერობის მოყვარე პირთა მეტი გზა არა ჰქონდათ, ისე უნდა მოქცეულიყვნენ, რომ ხმა არ მიეცათ.

ახალ წარმომადგენელთ ყრილობაში დემოკრატიული პარტიის წევრები რაც წინათ იყო, ორი იმდენი იქნება და რესპუბლიკის პარტიის მომხრეთ ორი მესამედი ხმის უმეტესობა ალარ გამოუთ, მაგრამ არც პრეზიდენტი ბრანტი დაიწუებს ისე ხშირად ვეტოს veto (ნებას არ ვაძლევ) ხმარებას და რესპუბლიკურ პარტისათვის სასარგებლოც იქნება, რომ ჰყავდეს ძლიერი მოწინააღმდეგე, რომ ხანდისხან ამხილოს ხოლმე: შენც ვერ მოქმედებ ყოველთვის კარგათაო. საზოგადოთ რომა ვსთქვათ, ამ ჟამად სახალხო ამორჩევა ძალიან ბრწყინვალე იყო. დემოკრატიულს პარტიას ალარ ექნება იმედი სამხრეთის შტატების შემწეობით ჩაიგდოს ხელში უფლება მხარეზე და ეს დიდი საკეთილდღეო ამბავია. ამასთანავე უწინ რომ ჰფიქრობდნენ კონგრესისაგან (შეკრებილებისაგან) განზრახული ყოველიე გვარი ცვლილება კონსტიტუციის წინააღმდეგიაო, ამისთანა აზრები სრულიად განქარდა და ის აზრიც სრულებით დაირღვა, რომ ჰფიქრობდნენ, ძალდატანებით გადაცვლა საზოგადო დაწყობილებისა შესაძლებელია მოხდესო.

რაიცა შეეხება სამხრეთის შტატებსა, შეიძლება კაც ისიც გამოიკვლიოს, თუ რა აზრისანი იან იქა. [ი]ქაურს გაზეთებში, აი სწერენ: „დემოკრატები სრულებით დაბნდენ. ჩვენ რომ ვფიქრობდეთ, კი უფრო დაიჩაგრენ. ისინი. თუმცა ჟან სამწუხაროა ჩვენთვის; მაგრამ ხმამრავლესობა თვალთ წინ გვიდგას და იწინააღმდეგათ აბა რალა შეგვიძლიან ვთ. ბრანტი დიდი ხმის სიმრავლით ამოვეს შეერთებული შტატების პრეზიდენტადნგრესში კარგა ძალი წევრი რესპუბლიკელსა მოხვდა და იმედია, რომ წარმატების მველი აზრები საკმაოთ გამაგრდნენ. ამთ მხარემ უნდა შეითვისოს ის აზრი, რომ ოთხის წლის განმავლობაში ის იქნებადიკალების (წარმატების მოსურნეთა) ხელქვეით. თუმცა ეს ამბავი ძალიან სასიამ მაგრამ სამხრეთი უნდა დაემორჩილოს გარემოებას და ისარგებლოს ამ მდგომარეთ. ქავშირის გადაკეთება იმ რიგათ, როგც კონგრესს აზრში აქვს, მიუცილებლათ მოხდება, ამიტომ რომ ამისი დაშლა ამ ად აღარ შეიძლება. სრულებით უგნურ იქნებოდა ამ აზრის წინააღმდეგობა ჩვე მხრით. ჩვენი ჩრდილოეთის მეგობრების მედი აღარ უნდა გვქონდეს, ამიტომ რომ სინი ამ ჟამად სრულებით მოუძლურდენ ამხრეთიც ვერ იფიქრებს წინააღმდეგობასმიტომ რომ ეს სიკვდილი იქნებოდა იმისი“. ეს გონიერი ლაპარაკია, მაგრამ ამაოგოდებს ზემოხსენებული გაზეთი სამხრე სრულებით არ გაუძნელდება დაემორჩილ თავის ხვედრსა, ესე იგი ხელი მიჰყოს კანთერ მოქმედებას, აღიაროს საზოგადო სრთლე, ჭეშმარიტი თავისუფლება, შრომისამაგიეროს მიცემა, მოქმედება მშვიდობიანობის დასამყარებლათ, აღყვაების და ბედნიერის მოსაელენათ. თუ ის ყველა ამაებს უარ ჰყოფს, მაშინ თავის თავს უფრო არ აებს? რა ღონისძიებაც ჩრდილოეთს უნდა ოიხმაროს, ის მალე აფუფუნებს სამხრეთსა და დააივწყებს ომისგან მოვლენილს უბედურებას. ამის მაგიერათ სამხრეთისაგან ითხუენ მხოლოდ, რომ თავისუფლათ ალაპარაკონ ისინი, რომელნიც არ არიან იმათი აზრის ანახმა და თავის უფალი ხმის მიცემა არ ვაიწროვოს. ეს სიმართლე სრულებით არ არის ბევრი მართლად ძვირფასს ნივთების მსაპოებლათ. რაიცა შეეხება ბრანტსა, იმისი მოქმედება იგეთივე დარჩა, როგორიც იყო ამორჩევის წინათ. ბალენიდგან რომ დაბრუნდა, ხალხს უნდოდა დიდებულათ მიგებებოდაიმასამაგრამ უეცრად მოვიდა შინგტონში და მეორე დღეს მიჰყო ხელი თავის საქმეებსა, თითქოს იმისი მდგომარეობა არ შეცვლილ იყოს. მეორე დღეს ათასობით მოუვიდა შრათები სხვა-და-სხვა მოსამსახურე პირებისაგან, მაგრამ არც ერთი არ წაუკითხავს, ყველა დაწვა და ბრძანა კიდეცა, რომ რაც აწ მიიღონ, ისიც დასწვან. დარწმუნებული ვართ, რომ ბრანტი საუკეთესო პრეზიდენტთაგანი იქნება. ხალხსაით ჩვენც გულდამშვიდებით ვუყურებთ მომავალს.

სასამართლო და პოლიცია

(ბაგრძელება).

თავის მოქალას რაცხდნენ იმ გვარ დანაშაულობად, რომლის დასაჯვაც ვერ შეიძლებოდა, რადგან სიკვდილს მოესწრო დასჯისათვის. ამ შემთხვევაში სჯიდნენ იმის ქერიესა და შვილებსა. იმისი სხეული გაჰოჰქონდათ საქვეყნოდ და ქონებას სახელმწიფოთა სწერდნენ; ამ გვარად იმის სიკვდილს, ვისი დასჯაც ალარ შეიძლებოდა, მოსდევდა შერცხვენა და დაქცევა იმისი შვილებისა. ამ გვარის სასტიკობით ეგონათ დაეყენებინათ ხელი თავის მკვლელისა, რომელსაც უნდოდა მოეკლა თავი; მაგრამ ეს აზრი უსაფუძვლო იყო: ვინც მივა ისეთს თავგაწირვამდინ, რომ თავს იკლავს, იმას სრულებით აღარ აგონდება შვილების საცხოვრებელი და იმათი შემდეგი ბედი.

შინაურს ქურდს სჯიდნენ სიკვდილითა. ვოლტერი ამბობს, მე ვნახე ერთი ოცი წლის ახალგაზდა ქალი, რომელიც დაახრჩესო იმიტომ, რომ იმას მოეპარა 18 სალფეთკი მეტრახტირის ცოლისაგან, რომელიც ჯამაგირს არ აძლევდა იმ ქალსაო.

აი სახელები იმ დანაშაულთა, რომლებზედაც ჩვენ დროში აღარა სჯიან, ანუ სჯიან მსუბუქად, და რომელთაც უწინ სდევნიდენ სიკვდილით. ახლა სასამართლოებზე ვილაპარაკოთ.

უველაზე მდაბალი სასამართლოები იყვნენ მებატონისა. უოველი მებატონე იყო სრული მეუფე თავის მიწებზედ მცხოვრებთ გლეხებზე. იმაზედ იყო შენდობილი პოლიციაცა, მართვაცა და ხალხის შემაგრებაც ომის დროს; ისივე აგროვებდა ხარკს თავისათვის; გარდა ამისა იმისავე ხელში იყო მართლმსაჯულება, რომელსაცა მართვიდნენ მებატონის მომხრენი ხალხნი, სახელად ბალე.

მებატონეთა უფლება ნელ ნელა მცირდებოდა კაროლის უფლებითა; მაგრამ სოფლებში კი ბალი იყვნენ თვით რევოლუციამდინ. მოყმეთ არ იცოდნენ, რა ხდებოდა პარიჟში, იმათ პოლიტიკისათვის არა სცალოდათ: ყოველ მინუტს ეშინოდათ, რომ ბალი მიიზიდავდა სასამართლოში და დასაჯვიდა ერთ უბრალო დანაშაულზე, სამიკიტნოში ჩხუბისათვის, ანუ იმაზე, რომ იმისი საქონელი გადავიდოდა მეზობლის მინდორზედ.

სოფლის სასამართლოები იყვნენ მდაბლები და ამათზე რასაკვირველია აპელაცია უნდა ყოფილიყო; მაგრამ ყველა მებატონე ცდილობდა, რომ საქმე თითონვე უკანასკნელს ინსტანციაში გადაეწყვიტა. ამიტომ თავის მიწას რამდენიმე ნაწილად ჰყოფდა, და შიგ სხვა და სხვა სასამართლოსა ჰმართავდა, რომ საქმე ერთიდგან მეორეში გადაეტანათ აპელაციითა. ამ გვარად ზოგჯერ ერთი ფურის საქმე ექვსჯერ იშინჯებოდა. რასაკვირველია, ამ გვარის საქმის წარმოებით არა თუ ფური იჭმებოდა, პატრონიც კი თან მისდევდა. მებატონეზე ჩივილი არას გზით არ შეიძლებოდა: იმათთვის ძალიან ადვილი იყო ეშოვათ როგორიც უნდოდათ დოკუმენტი. ნოტარიუსიც დაუმტკიცებდათ, და იშოვიდენ კიდეც მოწმებსა, რომელთა კითხვაც არ შეიძლებოდა, ამიტომ რომ მკვდრები იყვნენ.

რევოლუციამდინ მაღალი სასამართლოები ფრანციაში იყვნენ პარლამენტები. პარიჟის პარლამენტი ჰსჯიდა 10 მილიონი ხალხის საქმესა; სხვა პარლამენტები იყვნენ უფრო შეიწროებულნი.

უველამ იცის, როგორცა შოულობდნენ პარლამენტში ადგილებსა; ყველა სყიდულობდა ადგილს ფულითა, რომელიც შემდეგ ხდებოდა მყიდველის საკუთრებად. ამ ადგილებს მოჰქონდათ $2^1/_2$ ანუ 3 სარგებელი (თუმანზე ხუთი ანუ ექვსი შაური წელიწადში), მაშასადამე ამ გვარ ადგილში ფულის მიცემა გადაყრა იყო.

ზოგიერთი ადგილები ძალიან ძვირი იყო; ადგილი პირველი თავს-მჯდომარისა (პრეზიდენტისა) ღირდა 700-დგან 800 ათას ლივრამდე, ადგილი სოვეტნიკისა—300,000 ლივრამდე. არას დროს მწევრი პარლამენტისა არ ირქმევდა თავის ჩამომაელობის გვარსა: ირქმევდა ან „პრეზიდენტსა“, ან „სოვეტნიკსა“. ეს სახელი საქებრად მიაჩნდათ.

პარლამენტთან იყო კაროლის ადვოკატურა. ეს იყო შემდგარი გენერალ-პროკურორისაგან, ოთხი გენერალ-ადვოკატებისაგან, და თორმეტი თანაშემწეთაგან პროკურორი საქმის განხილვაში მონაწილებას არ იღებდა; სიტყვებს ადვოკატები ამბობდნენ. უნდა შევნიშნოთ, რომ ადვოკატის ადგილიც გასასყიდი იყო. ადგილების ფასი ვა იყო დიდი ბოროტება, მაგრამ ამითი იყო კარგი, რომ ერთხელ ნასყიდი ადგილი ხდებოდა საკუთრებად მსყიდველისა, და იმას ვეღარ ეტყოდნენ: „ამა და ამ საქმეს უქმაგე, ანუ ასტაეკა (ადგილის ჰერის უარი) შემოიტანე“. ამიტომაო გენერალ-ადვოკატი იყო უფრო სჯულების ადვოკატი, ვიდრე კაროლისა.

პარლამენტზე მაღლა იდგა საიდუმლო რჩევა, რომელსაცა ჰქონდა მნიშვნელობა კასაციის სასამართლოსი. აქედგანა სჩანს, რომ უწინდელი სასამართლოები ფრანციისა ჰგვანდენ ახლანდელსა. საიდუმლო რჩევა შესდგებოდა 30 მწევრისაგან; ეს არღვევდა სასამართლოების განაჩენებსა, რომელთაც არ მიეღოთ მხედველობაში რომელიმე რიგი სამართლის რიგისა. რომელ გარდაწყვეტილებაშიაც აზრი სჯულებისა იყო შეცვლილი და ურიგოდ ახსნილი, იმათი დარღვევა კი ძნელად მოხდებოდა ხოლმე, ამიტომ რომ სასამართლოებს არ მოჰყვანდათ კანონები, რომლის ძალითაც გარდაეწყვიტნათ.

ამ სახისა იყო ძველი ფრანციის სისტემა, რომლიდგანაც შესდგა ახლანდელი რიგი სასამართლოებისა, მაგრამ მაშინ ფრანცია აღარ იქნებოდა მხარე ცვლილებისა, როდესაც ყველასათვის ერთი და იგივე სამართალი და სასამართლო ყოფილიყო. გარდა საერთო სასამართლოებისა, იყვნენ კიდევ უანგარიშო განსაკუთრებითი სასამართლოები. ზოგიერთი იმათგანი მიუცილებელი იყო და კარგიცა, როგორც კანტროლის სასამართლო; ვინც საზოგადოების ფულსა ხარჯავს, ის ვერ იჩივლებს, რომ სასამართლო ანგარიშსა მთხოვსო. მაგრამ ძველს ფრანციის მონარხიაში იყვნენ ბევრი სხვა განსაკუთრებითი სასამართლოები, რომელთა დაწესებაც ვერაფრით ვერ გამართლდებოდა. იმათი სიმრავლე და უადგილობა არ აძლევდა კაცს სიცოცხლესა. უველ ცუდ-უბრალო საქმისათვის იყო საკუთარი სასამართლო.

მაგრამ ყველაზედ ურიგო და სამძიმო იყო განსაკუთრებული სასამართლო სასახლის ამალისათვის. ეს ამითი იყო სამძიმო, რომ სასახლეში მსახურს სადაც რა უნდა დაეშავებინა, მაინც ჰქონდა უფლება, რომ საქმე პარიჟში გადაეტანა და იქ გაერჩიათ. შეიძლება წარმოვიდგინოთ, როგორი უსამართლობა უნდა გამოსულიყო აქედგანა. მაგალითებრ სასახლეში მსახურმა დააშავა რამე. მარსელში (ან ქალი გააუნამუსოვა, ან მოკლა ვინმე, ანუ ვალი აიღო); იმასა ჰქონდა ნება გადაეტანა საქმე პარიჟში, სადაც მოსამართლენი იმისი ამხანაგები იყვნენ. რასაკვირველია საქმე ყოველთვის ამალის მწევრისათვის კარგა სწყდებოდა აქა. მერე ნეტაი ცოტანი მაინც ყოფილიყვნენ ამალაში; ამალის მწევრთ რიცხვი არა ჰქონდათ. ქაროლი აძლევდა ამ წოდებას მთელს კრებაებსა. მაგალითებრ მალტის ორდენის რაინდები ამალაში იყვნენ შერიცხულნი.

ამ მოკლე აღწერით მკითხველი შეიტყობს როგორი შედგენილება ჰქონდა სასამართლოებს ფრანციაში რევოლუციის წინ.

მაგრამ არის კიდევ ერთი რიგი სასამართლო, რომელზედაც ღირს ლაპარაკი. ფრანციაში იყო სასამართლოები საწყლებისა, გლახებისა და უბაშფორთოდ მატარებელთა დასასჯელად. ვინც მიდიოდა ნების დაურთველად სენტ-იაგო დი-ქომპოსტელაში სათხოვნელად, იმათ მაშინვე იჭერდნენ, გზავნიდნენ გალერებში და ახრჩობდნენ. ვისშიაც სისაწყლეს ნახვიდნენ, იმას ექცეოდნენ განუზომელის სასტიკობითა და შეუბრალებლობითა; და თუ მდიდარი იყო ვინმე, იმას სრულებით სხვა საშუალებითა სჯიდნენ: იმისათვისა ნიშნავდნენ კამისიასა. როდესაც კაროლს ეშინოდა, რომ რომელსამე პირს სასამართლო სწორეს ვერ

გაუზედავდა, მაშინ იმას უნიშნავდა კამისიას იმ გვარი ხალხისაგან, რომელიც იყვნენ კაროლის მომხრენი.

ამ გვარადვე იქცეოდა კაროლი მაშინ, როდესაც უნდოდა მოეშორებინა ვინმე თავიდგანა და გაეგზავნა იმ საიქიოსა.

ახლა ვნახოთ სამართლის წარმოება. ეს იყო ინკვიზიციური- ექვმიტანილს აღარ უშვებდნენ ხალხში, იჭერდნენ ტუსაღანაში: არც ატყობინებდნენ რაში არის დამნაშავე; ცდილობდნენ რომ თითონვე ათქმევინონ თავისი დანაშაული და თავისი წათქვამითვე დაღუპონ.

იწყებდნენ რჩევითა და დარიგებითა. მღვდლები თავიანთ ქადაგებაში ამბობდნენ, რომ ამ გვარი დანაშაულობა მომხდარაო, და თუ ვისმეს რამ შეგიძლიანთ სთქვათ ამ საგანზედა, გთხოვთ ახსარებაში საიდუმლოთ მითხრაო. მერე ამ გვარ მოწმობას მღვდელი ჰბეჭდავდა და უგზავნიდა კაროლის პროკურორსა.

ექვმიტანილს ჰკითხავდნენ დანაშაულსა, მაგრამ არკი ეუბნებოდნენ რაში არის დანაშაული. აი მაგალითებრ პროცესი ინკვიზიციისა: დაიჭერდნენ თუ არა ვისმეს, მაშინვე ჩასვამდნენ ციხს ადგილს; რამდენიმე ხნის შემდეგ მოჰყვანდათ ინკვიზიტორთან, რომელიც ჰკითხავდა: „იცით თქვენ, თუ არა—რათა ხართ დაჭერილი?... აბა გამოიკვლიე! იფიქრე!“. თუ ექვმიტანილს არ ეცოდინებოდა რათ არის დაჭერილი, მაშინ მეორეთა სვამდნენ ტუსაღანაში; ერთი თვის უკან კიდევა ჰკითხავდნენ, ასე რომ იმას შეწუხების გამო შეეძლო რამდენიმე დანაშაულობა დაებრალებინა თავისთვისა, რომელსაც სრულებით არ იყო დამნაშავე. სწორედ ამგვარადვე იყო ფრანციის ძველს მონარხიის დროსა: იქაც არ ეუბნებოდნენ რაშია დანაშაული, და თავისი პასუხებით ებმებოდა რამდენიმე მახეებში. მერე მიჰყვანდათ ტუსაღანაში და ჰკითხავდნენ მოწმებს მეორედ. ამ მოწმების მეორედ კითხვას ეძახოდნენ შემოწმებასა; ამასთან მოწამეს არ შეეძლო გამოეცვალა თავისი სიტყვა. ახლა, როდესაც სახალხო სხდომა არის სასამართლოებში, მოწამეს შეუძლიან სთქვას: „მართალია მე ვსთქვი, რომ ამა და ამ დროს ვიყავი ამა და ამ ადგილასა, მაგრამ ახლა მომაგონდა, რომ იმ დროს სხვაგან ვიყავი. მაგალითებიც არიან, რომ თუმცა მოწამეს სიტყვა შეუცვლია, მაგრამ ამითი სასამართლოს ნდობა არ დაუკარგავს. უწინ კი მოწამეს რომ გამოეცვალა სიტყვა, იმას მაშინვე დასჯიდნენ, როგორც ამაო მოწამესა; არ შეეძლო გამოეცვალა მოწმობა, თუნდა კიდეც სცოდნოდა, რომ შესცდა ჩვენებაში. ამის შემდეგ მოწმებს უყენებდნენ პირში. ჯერა ჰკითხავდნენ: ამა და ამ კაცს იცნობ, თუ არაო? გაქვს რამ წინააღმდეგ სათქმელი იმისა, თუ არაო? ექვმიტანილმა თუმცა არ იცოდა იმისი მხარე ეჭირა მოწამესა თუ არა, მაგრამ მაინც ახლავე პასუხი უნდა მიეცა. მერე ველარ იტყოდა, რომ „ის ჩემი მტერიაო“.

სჯული არ აძლევდა ნებას ექვმიტანილსა, რომ იმას ჰყოლოდა ადვოკატი და ჟუსიც ამტკიცებდა ამას; ის ამბობდა: ექვმიტანილს რომ დამრიგებელი მივსცეთ, მაშინ გამოვაო, რომ იმას მივეცით ამხანაგიო; არა ადვოკატი საჭირო არ არისო“.

ლამუენი ამაზედ არ იყო თანახმა, და ამბობდა; „განა მიშველება ექვმიტანილისა ისეთი მსუბუქი პრივილეგია არის კაცისა, რომ შეგვეძლოს წართმევა; ეს არის თავისუფლება, რომელიც ბუნებას მიუცია კაცისათვის და ყველა სჯულებზედაც ძველი არისო. ამისი წართმევა კაცისათვის არის სიკვდილიო“. მართლადაც ბუნებითი წესი არის, რომ კაცმა თავისი თავი დაიცვას და შეიმაგროს სხვათა დაცემისაგან. ამას ვერავინ წაართმევს კაცსა.

ანგლიაში, მე 18 საუკუნეში, არჩევდნენ სჯულის კანონსა, რომელიც არ აძლევდა ნებას, რომ ექვმიტანილს ჰყოლოდა ადვოკატი სახემწიფო დანაშაულში. გრაფი შაფტესბერი ამბობდა წინააღმდეგს ამ კანონზედ და ეცემოდა ყოველის მხრიდგან; ერთბაშად ლაპარაკში აირია, მაგრამ მაინც თავის მდგომარეობით ისარგებლა და უთხრა: „ხედავთ როგორ ავირიე; მაგრამ მე სრულებით ექვმიტანილი არა ვარ; თქვენ კი გინდათ, რომ არ აირიოს ის კაცი, რომელიც თავის თავს ექომაგებაო? აქედგან ცხადათ შეგიძლიანთ დაინახოთ უსაფუძვლობა და სიმტყუნვე თქვენის კანონისა“. მაგრამ ამან მაინც ვერ დაუშალა კანონის მიღებასა.

კითხვის შემდეგ კაროლის პროკურორი ამბობდა თავის აზრებსა დანაშაულზე, რომელნიც არა კანონზედ არ იყვნენ დაფუძნებულნი: შემდეგ კითხულობდნენ საქმის წარმოებასა, ამიტომ რომ მაშინ საქმე ქაღალდზედა წარმოებდა, პირად არ იყო. ხანდის ხან თითო საქმის წარმოება იყო დაწერილი ექვსი ათას თაბახ ქაღალდზედ და კიდევ მეტზე. მერე მოჰყვანდათ ექვმიტანილი დასვამდნენ სკამზედა. მაშინ იწყებოდა პროცესის განკვლევა; ექვმიტანილს შეეძლო ახლა მოეყვანა თავისი გასამართლებელი გარემოებანი; მხოლოდ ახლა ჰქონდა ნება ეთქვა მაგალითებრ შემდეგი: „მე მაბრალებენ, რომ ამა და ამ საათზე მოვკალი პარიჟში კაცი, მაგრამ მე იმ დღეს ვიყავი ანგლიაში. „ზოგჯერ მართლადაც დამნაშავე რომ არაფერში ყოფილიყო და ამაზედ ცხადი დამტკიცებაები ჰქონოდა, როგორც სხვაგან ყოფნა, მაინც რაკი ექვს მიიტანდნენ ვიზედმე, იმას მაშინვე ჩასვამდნენ ციხეში და საქმეს იმის დაუკითხავად აწარმოებდნენ. მხოლოდ სამართლის წარმოების შემდეგ ჰქონდა ექვმიტანილს ნება, რომ გაემართლებინა თავი.

1699ში, ლუდოვიკო XIV დროს, ერთს დედაკაცს დააბრალეს თავისი ქრმის მოკვლა. ქმარი იყო ერთი პივარდენი. ამან ტურში ერთი ცოლი შეირთო, რომელიც არ უყვარდა; მერე შეირთო მეორე სანში, და ამ გვარად ორი სახლობა ჰყვანდა—ერთი ტურში და მეორე სანში. ხანდისხან მოდიოდა ტურში; ენახოთ: ერთ დღეს კაცი დაიკარგა. პივარდერის ცოლს მაშინვე დააბრალეს, რომ იმან და თავისმა სულიერმა მამამ ერთად მოჰკლეს ქმარი. ორი მოსამსახურე გოგოები ამბობდნენ, რომ შეიტყეს ყვირილი და ნახეს სისხლი. პივარდერი, თუმცა ორი ცოლიანი იყო, მაგრამ პატიოსანი კაცი იყო, და შეეცოდა თავისი ცოლი, რომელიც ჩავარდა სამართალში; მაგრამ მაინც ვერა ჰბედავდა წამომდგარიყო, რადგანაც ეშინოდა, რომ დაჰსჯიდნენ ორ ცოლიანობისთვის. ბოლოს მიეცემა შემთხვევა კაროლთან ლაპარაკისა, რომელმაც აპატია ორ ცოლიანობა, და მერე წასდგა სასამართლოში და უთხრა: „აი მე, ჩემს ცოლს არ მოუკლივარ“. მაშინ იმას უპასუხეს, რომ იმას ვერ იცნობენ, და ჯერ გასამართლებელი გარემოების წარმოდგენის დროს არ მოსულაო; გარდა ამისა, თუ სამართალმა საკმაოდ გამოიკვლია საქმეო, მაშინ შენი მოწმობა აღარც საჭირო იქნებაო. საჭირო იყო, რომ ამას ეძებნა სამართალი მაღალს ადგილებში და 18 თვის შემდეგ ძლივს მიიღო გარდაწყვეტილება, რომელიც მოწმობდა, რომ არ იყო მკვდარი. აქედგანა სჩანს, როგორი ცუდი ბოლო აქვს უბრალო ფორმების მიდევნას.

სასამართლოს მსხდომნი იყვნენ საიდუმლოდ. პუბლიკა—ეს მოსამართლეთ მოსამართლე—არ იყვნენ მიშველებულნი. ექვმიტანილს არავინა ჰყვანდა ახლოს. პარიჟში იმისი მოსამართლეთა რიცხვი იყო ოციდგან 25 მდე, მაგრამ ამათში ერთი მოკეთე, ერთი მრჩეველი არა ჰყვანდა იმას; ისა ჰგვანდა მსხვერპლსა, რომელიც უნდა ეკლათ. საქმის წარმოება კანონიერი იყო არა? ამაზე არაფერი არა იცოდარა; არც მართლეთ იცნობდა, არც იცოდა იმათი ძლება, მაგრამ მაინც იმათ უნდა მინდობა კანონის წესზე მოხმარებაზე. რასაკვირველ მოსამართლეც არ აძლევდა თავის თავს შას, რომ გადაეკითხნა მთელი საქმე, რომიც შესდგებოდა 4 ათასი თაბახისაგანა, აყოფილდებოდა ერთის რომელიმე ქაღლითა. შემდეგ როდესაც კასსაცია სდგებოდაქმეზედა, ესკი მართალია, რომ ყოველთვისმოჩნდებოდა საქმის წარმოების უწესურო ერთს ცუდუბრალო საქმეზედ მოწბელისაჯეს სიკვდილითა. მოწბელი იყო უბრო შერმერი; იმისი დედა იყო ლოთი. ერ დილით ნახეს, რომ დედა ჩამოვარდნილიყ ტახტიდგანა, დასცემოდა რაღასაცა და მომკვდარიყო. მოწბელიმ რომ გაიგო ეს საქმეშინვე გული წაუვიდა; ეს გარემოება მიიღ საფუძველში, რომ მოწბელის სარგებლობაონდა, თავის დედის სიკვდილათო; და რადაც ამ დედაკაცს ერთი თვალიც გასისხლებული ჰქონდა, ეს მიიღეს ძალოვან ნიშ; საბრალო მოწბელის დაუწყეს ტანჯვა ათქმევინეს. რაცა სურდათ. გადასწყვიტ რომ ისა და თავისი ცოლი უნდა დასჯილნენ სიკვდილითა; და რადგანაც ცოლი სულად იყო, ამიტომ ცოლი ჯერ არ დასაჯ. ამ დროს დაუქომაგნენ ცოლსა და აღმოჩდა, რომ არც ისა ყოფილა დამნაშავე და არ იმისი ქმარი. მაგრამ კაცი მაინც დასაჯეს დრომდინ, ვიდრე აღმოჩნდებოდა ტყუილა მართალი.

რაღათა ხმარობდნენ სატანჯლსა? რა სარგებლობა უნდა მოეტანა ამას რომ გამოჰგლიჯონ აღსარება დამნაშაოს. მაშინ საჭირო იყო, რომ მოსამართლესქონოდა დამნაშავესაგან აღსარება; ეგონა რომ მოსამართლე მაშინ დარჩება მართალიო და აღარაფერი ეჭვი სიმტყუნისა დასტიკობისა აღარ ექმნებათ იმაზედაო; ჩვე კი გვესმის, რომ აღსარებას კაცს როცა უნდათ, მაშინვე გამოჰგლეჯდნენ, მეტადრე სატანჯველების ხმარების შემდეგ, რომლებსაც ახმარებდნენ. ზოგიერთი იმათგანი სიკვდილზე უარესნი იყვნენ. ექვმიტანილს მიაყავდნენ ორ ბოძზე, პირში ძაბრს სტენდნენ და ასხამდნენ წყალს იმ დრომდინ, ვიდრე სხეულშიაც კი გაუჯდებოდა წყალი და ვიდრე არ გაიბერებოდა რუმბივით. ამ სატანჯველი ატანაზედ, სიკვდილი უფრო ადვილი იყო და ბევრი თავის თავს ამტყუნებდა უბრალოდ რომ ჩქარა სიკვდილი გვეღირსოსო. არა მგონია, რომ ახლა ვისმესა ჰსჯეროდეს ღამით ქაჯების ყრილობა; მაგრამ უწინ დედაკაცებს სატანჯველის შემდეგ ჰკითხავდნენ ხოლმე: „შენ ქაჯების ღამის ყრილობაში დასდიხარ განა? ჰო, ჰო. ცხენით თუ, ცოცხზე? ჰო, ჰო. ამ გვარად იყო შემდგარი მოსამართლეთა ცოდნა. სატანჯველით გამოცდა ექვმიტანილისა მოჰკვეთეს მხოლოდ ლუდოვიკო XVI ხემწიფობაში.

ყველა ნაირი დასჯა იყო დამოკიდებული მოსამართლეებზედ. სასამართლოს შეეძლო თავის ნებაზე შეენახა ექვმიტანილი სატუსაღოში, გამოეშო, დაესაჯა. ზოგიერთი გარემოება პროცესში აძლევდა მოსამართლეებსა ნებას დაესაჯნათ მძიმედ, ანუ შეემსუბუქებინათ მტყუანი. თუ ვისმე დიდს კაცს ებოზავნა, მაშინ იმას სჯიდნენ მხოლოდ დარიგებითა; ეუბნებოდნენ: „შენ შეგიცდენია მავანი და მავანი ქალი, ეგ კარგი არ არისო!“ და თუ ლაქია მოეწონებოდა თავის ქალბატონსა და იმასთან ექმნებოდა კავშირი, მაშინ იმასა საჯეიდნენ სიკვდილითა. ახლა გლეხმა რომ შეშა დაჰსჭრას ვისამე ტყეში, იმას სამიოდ დღე ჩასმენ, მაგრამ მაშინ დასაჯეიდნენ სიკვდილითა.

რადგანაც ყოველ დანაშაულზე სიკვდილითა საჯეიდნენ, ამიტომ ზომიერობის შესანახად მოგონილი იყო სხვა და სხვა ნაირი დასჯა. რომელნიც ჩნდებოდნენ კაროლის შესახებ დამნაშავენი, იმათ ოთხად აფეშხვაებდნენ. ამ გვარად დასაჯეს დამიენი, მაგრამ იმას პირველად მოსწყვიტეს წელი (ხერხემალი დაუმტვრიეს) რკინის ჯოხითა. ხალხი ქსუვდებოდა ამ გვარი შეუბრალებლობის ნახვითა.

ახლა მართვენ მუშა ხალხისათვის ყრილობასა, სადაც კითხულობენ სასულიერო წიგნებსა: იქიდგან ისინი გამოდიან დაშვიდებულნი და უფრო განათლებულნი. აბა ესენი მიიყვანეთ იქა, სადაც ხოცვენ ხალხსა, სადაც ინთქევა სისხლი, და ნახავთ როგორ გაქსუვდნენ და შეუბრალებელნი გახდნენ. ზდასა აქვს დიდი მოქმედება კაცზედა, და ამიტომ გვგონებათ, რომ ძველი მონარხია ამ გვარი შეუბრალებლობის ჩვენებით ცდილობდაო, რომ ხალხი გაქსუვებულიყო.

ჩვენ მოვიყვანთ აქ წიგნს ერთი ქალისას, სახელად დეფანისას, რომელიცა სწერს ერთს ანგლიელს ლალი-ტოლენდალის დასჯაზედა და რომლიდგანაც შეგვიძლიან ვნახოთ, რომ მაღალი წოდების საზოგადოება მაგდენად არ განირჩეოდა მდაბალი ხალხისაგან.

„გუშინ წინ, პარასკევს, საღამოს ექვს საათზე დასაჯეს ლალი. რადგანაც შინაობა შეეხვეწნენ კაროლს, ამიტომ უნდოდა რომ დასჯა მომხდარიყო ღამე. ლალი რამდენჯერ ცდილობდა, რომ მოეკლა თავი... მაგრამ ეშინოდა კაროლსა, რომ ლალი არ გაიქცეს დაუსჯელად და არ გაეშოს ხელიდგან ამ გვარი მშვენიერი შემთხვევა მაგალითისათვის, ამიტომ დაეჩქარა დასჯასა. *რადგანაც ეშინოდათ ენა არ ჩაყლაპოსო, ამიტომ იმას პირში გაუკეთეს სოლი.* ის მოკვდა, როგორც კვდებიან გაცუფებულნი; დასდევს ურემზედ; ორი დიდი დაარტყეს და დასჯის დროს *პუბლიკა ტაშს უკრავდა.* პუბლიკას სურდა, რომ ლალი, დასჯილიყო; ძალიან ესიამოვნებოდათ ყოველი, რაც კი იმის დასჯას ამძიმებდა და არცხვენდა: ურმით ხელებში ბორკილით, სოლით; ამ *უკანასკნელმა დააკმაყოფილა მოძღვარი, რომელსაც ეშინოდა არ მიკბინოსო...*

ლალი იყო დიდი ავაზაკი და ამასთან მეტი გონჯი; ყველამ ერთის ხმით ხელი მოაწერა იმის დასჯასა.“

შენიშნეთ, რომ 1778-ში, ე. ი. თორმეტის წლის უკან, უკან მოსამართლეთ შეიგნეს, რომ ლალი უსამართლოდ (ტყუილად) იყო დასჯილიო. ამ წიგნის პასუხად ვალპოლი სწერს შემდეგსა:

„ოჰ, მოწყალეო ხელმწიფეო, ამას რა საოცრებასა მწერთ. მაშ ნულარ იტყვიან, რომ ანგლიელები ქსუვნი და შეუბრალებელნი არიანო—ასეთნი ფრანცუზები არიან. სწორედ, სწორედ, თქვენ ყველანი მთიულნი ხართ, და თქვენც მასხარა, ეშმაკი ხართ. ჩვენში ბევრი კაცი მოუკლავთ, მაგრამ ვის გაუგონია, რომ ხალხს ტაში დაეკრას დასაჯვის დროსა, მერე ისიც იმ გვარი უბედური გვნერლისა, რომელიც იტანჯებოდა საპყრობილეში მთელი ორი წელიწადი? ეს იმოდენად პატიოსანი კაცი იყო, რომ არცკი მოინდომა გაქცევა; გარდა ამისა იმ გვარად იყო შეწუხებული მწუხარებისაგან, რომ ცდილობდა გამოემტვრია საპყრობილის რკინის მესერი და სახალხოდ კი არ დაენახა თავისი თავი ამ გვარ მყოფობაში; ეს პატიოსნების სირცხვილი იყო მიზეზად იმისა, რომ ის წაათრიეს ყრმით, პირშიაც რაღაც ჩავნთი ჩაუდევს, როგორც უკანასკნელს კაცის-მკვლელსა. ოჰ, ღმერთო ჩემო! რა ბედნიერი ვარ, რომ დავტოვე პარიჟი ვიდრე ეს საზარელი სცენა მოხდებოდა; მე უთოოდ გავიგლეჯდი თავს, ანუ ვიჯდებოდი ბასტილიაში.

როგორ უნდა ავსხნათ, რომ ფრანციის საზოგადოება ასე დიდს ხანს ითმენდა ამ გვარს საშინელებასა? ნადირთ ყრილობა ხომ არ იყო; არა, სულ არა! ეს ამიტომ იყო რომ მაშინ აკლდათ ერთი გრძნობა—გრძნობა კაცობრიობისა, რომელიც ეკუთვნის მე 18 საუკუნესა. შებრალება სატანჯავში მყოფთათვის არ იყო მე 17 საუკუნეში. მართლადაც საკმაოა გავშინჯოთ მოლერის კომედიებში როგორ დასცინიან სხეულის სნეულებაზე და სიმახინჯეზედ; იმ დროების რომანებშიაც სულ იმაზედ იცინიან, თუ როგორ იტანჯებიან დამნაშავენი; მოქმედნი პირნი ლაპარაკობენ მხოლოდ ცემაზე, სახრჩობელებზედ, და იმათი ლაპარაკი სულ მხიარული არის.

Дозволено цензурою. Тифлисъ, 13-го декабря, 1868 г. ხ. მელიქიშვილის და კამ. სტამბაში. რედაქტორი გ. წერეთელი. გამომცემი ხ. მელიქიშვილი.